# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 251

„22“ დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, ისნის რაიონში, არტურ ლაისტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გრიგოლ აფშინაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ“ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, არტურ ლაისტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ეთნოგრაფის, ფოლკლორისტ გრიგოლ აფშინაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X_486682.6525
Y_ 4613798.0217
გრიგოლ აფშინაშვილის ქუჩა
X_486660.6752
Y_ 4613643.5542